ჯგუფური მუშაობის დროს მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი გადაჭრის გზები

(პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა)

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლა

თეიმურაზ რუხაძე - სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლის ისტორიისა და ჩემი საქართველოს მასწავლებელი

2018 წელი

სარჩევი

შესავალი---------- 3

თავი 1. საკვლევი საკითხის მიმოხილვა ---------- 3

1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ ---------- 3

1.2. პრობლემის იდენტიფიცირება ---------- 3

1.3. საკვლევი საკითხის აქტუალობა ---------- 4

1.4. საკვლევი საკითხის ანალიზი ---------- 4

1.5. კვლევის მიზანი ---------- 5

1.6. კვლევის სტრუქტურა ---------- 5

1.7. ძირითადი დასკვნები ---------- 5

თავი II. პრაქტიკული კვლევის არსი ---------- 6

თავი III. ლიტერატურა ---------- 6

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 7

თავი IV. კვლევის დიზაინი ---------- 17

4.1. საკვლევი საკითხის კითხვები ---------- 17

4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი ---------- 17

4.3. კვლევის მეთოდები ---------- 17

4.4. კვლევის ვადები ---------- 18

თავი V. კვლევის შედეგები ---------- 19

5.1. მონაცემების ანალიზი ---------- 19

5.2. ძირითადი მიგნებები ---------- 35

5.3. ინტერვენციები ---------- 35

თავი VI. ინტერვენციების შეფასება ---------- 36

6.1. ინტერვენციების შეფასების მეთოდები ---------- 36

6.2. ინტერვენციების შეფასება ---------- 36

თავი VII. რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები ---------- 37

7.1. რეკომენდაციები ---------- 37

7.2. კვლევის ნაკლოვანებები ---------- 38

თავი VIII. დასკვნა ---------- 38

რეფლექსია ---------- 39

ბიბლიოგრაფია ---------- 40

დანართები ---------- 41

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა განახორციელა ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელმა თეიმურაზ რუხაძემ და გეოგრაფიის მასწავლებელმა მეგი ბოგვერაძემ. აღნიშნული კვლევის მიზანია ჯგუფური მუშაობის დროს მართვასთან დაკავშირებული პრობლემების დადგენა და მათი გადაჭრის გზების ძიება და დაძლევა.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან:

I თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები

II თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსს და სკოლაში მის დანერგვას

III თავში მოცემულია სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები გაკვეთილის დაგეგმვის პრაქტიკის შესახებ

IV თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიისა და პროექტის ვადების შესახებ

V თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს

VI თავში განხილულია ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები

VII თავში აღწერილია კვლევის ჯგუფის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები

თავი .I საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ ქალაქ ქუთაისის # 14 საჯარო სკოლაში 700-მდე მოსწავლე სწავლობს, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შედგება 7 მასწავლებლისაგან, მათგან ოთხი ისტორიის , ორი გეოგრაფიისა და ერთი სამოქალაქო განათლების მასწავლებელია, მათ შორის ექვსი უფროსი მასწავლებელია, ყველა მათგანს სხვადასხვა რაოდენობის საათობრივი დატვირთვა აქვს. კათედრაზე ჩამოყალიბებულია ურთიერთ თანამშრომლობითი გარემო, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სქემის ფარგლებში ინდივიდუალური სამოქმედო გეგმაზე მუშაობა და მისი რეალიზაცია, შიდა დაკვირვების გაკვეთილების დაგეგმვა-მომზადება და ჩატარება, დაკვირვების შედეგების ანალიზი.

1.2 პრობლემის იდენტიფიცირება

საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაკვირვებამ მაჩვენა, რომ ჩვენ გაკვეთილებზე თანამშრომლობითი უნარების განვითარება ძალიან ცოტა აქტივობითაა შესაძლებელი. არადა სწორედ ასეთი აქტივობები უწყობს ხელს კლასის შეკვრასა და მათ შორის საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ისეთი აქტივობების ჩატარება, როგორიცაა ჯგუფური, სეგმენტური, დისკუსია და ა. შ. გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ვფიქრობ ამ ელემენტის შემატება საგაკვეთილო პროცესისათვის სერიოზულად გაამრავალფეროვნებს და საინტერესოს გახდის გაკვეთილებს. გარდა ამისა მოსწავლეები შეძლებენ ისეთი მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორიცაა არგუმენტირებული მსჯელობა, მცირე

დისკუსიები და კონსესუსის მიღწევა. პრობლემა, რომლის გამოსწორება მოსწავლეთა შედეგებს გაზრდის, იდენტიფიცირებულია.

1.3. საკვლევი საკითხის აქტუალურობა

თანამედროვე ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ სწავლება მიმდინარეობს მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი სკოლას მიზნად უსახავს „უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები". განსაკუთრებული მნიშვნელობა საკლასო სივრცეში თანამშრომლობითი უნარების გასავითარებლად ჯგუფურ მუშაობას ენიჭება. მნიშვნელოვანია, რომ გუნდური მუშაობა გულისხმობს ინდივიდის ინტერესის უკან გადაწევას გუნდის სასიკეთოდ. ეს ძალიან რთული მისაღწევია ზოგადად ცხოვრებაში თუ ამის საფუძველი სკოლაშივე არაა ჩამოყალიბებული. გარდა ამისა მრავალფეროვანი სტრატეგიებით სწავლება სწორედ ჯგუფურ მუშაობასაც გულისხმობს. მასწავლებელთა დიდი ნაწილი აღიარებს ამ სტრატეგიის უპირატესობას, თუმცა მისი ტექნიკურად შესრულების სირთულის გამო ან თავს იკავებენ, ან იშვიათად იყენებენ მას. ეს კი სასიკეთოდ არ ადგება სასწავლო პროცესს, და რაც უფრო მნიშვნელოვანის მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებას. საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ თემაზე უამრავი პროფესიული ლიტერატურაა გამოცემული, ჩასმულია სატრენინგო მოდულებში და მუდმივად ამ თემის აპელირება ხდება პროფესიულ წრეებსა თუ კონფერენციებზე.

ჯგუფური მუშაობის სტრატეგიები და მისი მართვისას გამოწვეული პრობლემები ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის გამოწვევაცაა. ვფიქრობ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე საინტერესო იქნება ამ საკითხის კვლევა და მისი გადაჭრის გზების ძიება.

1.4. საკვლევი საკითხის ანალიზი

ჯგუფური მუშაობის ჩატარებას ახლავს მრავალი ტიპის რისკი და სირთულე, მათ შორის:

- ჯგუფში არასწორადაა გადანაწილებული ფუნქციები
- ჯგუფის მუშაობას წარმართავენ და მზაობას თავზე იღებენ ძლიერი მოსწავლეები
- დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები არ, ან ვერ მონაწილეობენ ჯგუფურ მუშაობაში, თავს არიდებენ დავალების შესრულებას
- მასწავლებლები არ არიან მზად აქტიურად ჩართონ ამ კატეგორიის მოსწავლეები ჯგუფურ მუშაობაში, რაც საბოლოოდ გამორიცხავს აზრთა გაზიარებასა და ჭიდილს
- ჯგუფური მუშაობის ორგანიზება მრავალრიცხოვან კლასებში იწვევს ხმაურს, საგაკვეთილო დროის დაკარგვას

● ჯგუფური მუშაობა, მისი ბევრი დადებითი მხარის მიუხედავად, ჩვენს რეალობაში საკმაოდ იშვიათად გამოიყენება, მასწავლებლები იშვიათად მიმართავენ მას, რადგან ასეთი ტიპის აქტივობის ორგანიზებას დიდი ძალისხმევა და მოსამზადებელი დრო სჭირდება, გარდა ამისა მასწავლებლებს უჭირთ განსაზღვრონ, თუ რა ტიპის დავალების შესრულებისთვისაა უმჯობესი მისი გამოყენება

1.5. კვლევის მიზანი

ჯგუფური მუშაობის დროს მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი გადაჭრის გზები.

პროექტის მიზანია, კვლევის ჯგუფმა დეტალურად შეისწავლოს გაკვეთილებზე ჯგუფური მუშაობის დროს მართვასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევის გზები და საშუალებები, გაარკვიოს რა იწვევს ამ პრობლემებს, გამოიკვლიოს ჯგუფური მუშაობის მართვის ეფექტური სტრატეგიები.

1.6. კვლევის სტრუქტურა

კვლევის ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1. ვიყენებთ თუ არა ჯგუფურ მუშაობას გაკვეთილებზე?
   - რა მიზანი აქვს ჯგუფური მუშაობის ჩატარებას?
   - რა უნარებს ავითარებს ჯგუფური მუშაობა?
2. რა სირთულეებსა და პრობლემებს წარმოქმნის ჯგუფური მუშაობის ჩატარება?
   - რამდენად განიხილავენ მასწავლებლები კათედრაზე ამ საკითხს?
   - რამდენად მოსახერხებელია პედაგოგებისთვის ამ აქტივობის ჩატარება?
   - რამდენად მოსახერხებელია პედაგოგებისთვის ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება?
3. როგორ შეიძლება გამრავალფეროვნდეს ჯგუფური მუშაობა?
   - რა სტრატეგიები არსებობს ჯგუფური მუშაობისას?
   - დაეხმარებათ თუ არა პედაგოგებს აქტიური ურთიერთ თანამშრომლობა?

1.7. ძირითადი დასკვნები

ჯგუფური მუშაობის უპირატესობების მიუხედავად იშვიათად მივმართავთ მას რადგან

- ძნელი სამართავი აქტივობაა
- ითხოვს განსხვავებულ ნშეფასები9ს კრიტერიუმებს
- მასწავლებლებს ნაკლები ცოდნა აქვთ ამ აქტივობების სტრატეგიებზე
- სჭირდება განსაკუთრებული მომზადება
- ითხოვს მოსწავლეთა წინარე უნარებს
- საჭიროებს მრავალფეროვან რესურსებს

თავი II. პრაქტიკული კვლევის არსი

პრაქტიკული კვლევა ჩვეულებრივი ტრადიციული კვლევისაგან განსხვავებით გულისხმობს ინტერვენციების განხორციელებას, შემდეგ მათ შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კვლევა ბუნებრივ ანუ მასწავლებლისათვის ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში ხორციელდება. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ამოსავალი წერტილია სამუშაოს დროს სწავლებისას წარმოქმნილი პრობლემები და მისი ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ ანალიზისას მოსწავლეთა მიღწევები მთავარი საკვლევი თემაა. კონკრეტულ შემთხვევაში შემაჯამებელი დავალებების შესრულების დაბალი ხარისხი სერიოზული გამოწვევაა ჩვენთვის. ძალიან საინტერესოა ამ კუთხით ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების კვლევებისა და მოსაზრებების გაცნობა, ასევე წარმატებული კოლეგების გამოცდილების გაზიარება, რათა კვლევა წარიმართოს სწორად და არ ავცდეთ მიზანს. კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები ძირითადად თვისობრივია, თუმცა გამოყენებული ანკეტირება რაოდენობრივი კვლევის მეთოდს მიეკუთვნება. მონაცემთა ერთობლიობის ანალიზისა და დამუშავების შემდეგ პრაქტიკული კვლევის მნიშვნელოვანი ეტაპი ხორციელდება და ესაა ინტერვენციები. მასწავლებელი ერევა პროცესში მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. თუმცა ესეც არაა ბოლო ეტაპი აუცილებელია გაანალიზდეს მეორადი მონაცემები, ანუ ის შედეგები, რაც მიიღწა განხორციელებული ინტერვენციების შედეგად, შემუშავდეს რეკომენდაციები, შეჯამდეს პროცესი და დაიწეროს დასკვნა, რომელიც თავის მხრივ ახალი საკვლევი საკითხის ჩამოყალიბებაში მოგვეხმარება. და ბოლოს, კვლევა, თუ სამაგიდო კვლევად დარჩება იგი არაფრის მომცემი იქნება, მნიშვნელოვანის იგი გასაჯაროვდეს სასკოლო თემში და გაანალიზდეს მისი შედეგები. პრაქტიკული კვლევის არსი სწორედ ასე მაქვს დანახული.

თავი III. ლიტერატურა

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე დღეისათვის საკმაო რაოდენობის მეცნიერული ლიტერატურა ეძღვნება ჩვენ მიერ საკვლევ საკითხს. მათში ჩვენ ვპოულობთ პასუხებს, ჯგუფური მუშაობის რაობის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

ჯგუფისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ისეთი ლიტერატურის მოძიება, რომელიც გასცემდა პასუხებს კითხვებს:

- როგორ მოვამზადოთ კლასი ჯგუფური მუშობისათვის
- როგორია მასწავლებლის როლი ჯგუფური მუშაობის პროცესში
- როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ჯგუფს პრობლემები ექმნება

მოსწავლეზე ორიენტირებულმა განათლებამ ძლიერი ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებს და დღეს ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებს შორის აღსანიშნავია წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა. ტრადიციული გაკვეთილის დროს, როცა

ჭარბობს ფრონტალური გამოკითხვა, ძირითადად აქტიურობენ ძლიერი მოსწავლეები. ისინი ახალ მასალას ადვილად იგებენ, სწრაფად ითვისებენ და მასწავლებელიც მათ ეყრდნობა. სუსტი მოსწავლე კი ჩრდილშია და ჩამორჩენა გარანტირებული აქვს. ვინაიდან დრო არ ყოფნის, რომ ყველაფერი ნათლად წარმოიდგინოს და ვერც იმას ბედავს, რომ კითხვებით მიმართოს მასწავლებელს; თუ შეეკითხებიან სწრაფად ვერ პასუხობს ან არასწორად პასუხობს და... მოკლედ, აფერხებს გაკვეთილის მსვლელობას.

ახლა განვიხილოთ მეორე ვარიანტი, როცა მოსწავლეს ინდივიდუალურ დავალებებს ვაძლევთ და ის თავისთვის მეცადინეობს. ხშირად ის თავისი წარმატებებითა და წარუმატებლობებით საკუთარ ნაჭუჭში რჩება. მას ნაკლებად ანაღვლებს, თუ როგორა აქვს საქმე მის ამხანაგს და ძირითად საკუთარი პრობლემებით არის დაკავებული.

თანამშრომლობითი პედაგოგიკა კი გვთავაზობს სხვანაირად სწავლას, როცა მოსწავლის გვერდით ამხანაგებია, რომელთაც უნდა დაეხმაროს ან დაეკითხოს, გაარკვიოს ის, რაც გაუგებარია; შეუძლიათ ერთობლივად იმსჯელონ და დასკვნები გამოიტანონ. როცა შენზეა დამოკიდებული ჯგუფის წარმატება, შეუძლებელია არ გააცნობიერო პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და ჯგუფის წინაშე, არ ისწავლო, არ იმუშაო, იზარმაცო და ა.შ..

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთობლივად სწავლა არამარტო უფრო იოლი და საინტერესოა, მნიშვნელოვნად ეფექტიანიცაა. აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტიანობა ეხება როგორც აკადემიურ წარმატებებსა და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე - ზნეობრივ ზრდას.

ზემოჩამოთვლილ საბაზისო უნარ-ჩვევათა ნუსხაში, როგორც ვნახეთ, ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი ჯგუფური მუშაობის უნარი. თანამშრომლობითი სწავლება თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად იყენებს კლასში ჯგუფური მუშაობის (მეცადინეობის) მეთოდს. ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების განხორციელებაც ხშირ შემთხვევაში ჯგუფური მუშაობის მეთოდთან არის დაკავშირებული.

ჩვენ ჯგუფურ მეცადინეობას სკოლაში განვიხილავთ როგორც კოლექტიურ ინტელექტუალურ მუშაობას, რაც ბავშვის გონების განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის.

ურთიერთობათა თვალსაზრისით ჯგუფური მეცადინეობის დანიშნულება ის კი არაა, რომ ჯგუფი ემორჩილებოდეს მასწავლებელს, რამდენადაც ის, რომ ჯგუფის თითოეული მოსწავლე თავს კომფორტულად გრძნობდეს, მაქსიმალურ შედეგებს აღწევდეს და ამხანაგებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობდეს. ასეთ პირობებში ჯგუფური მუშაობა შემდეგ ზემოქმედებას ახდენს პიროვნების განვითარებაზე:

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა

და მაინც რატომ არის მნიშვნელოვანი გუნდური მუშაობა მოსწავლეთა განვითარებისათვის ? ამ კითხვაზე ნაწილობრივ გაცემულია პასუხი დავით ბოლქვაძის სტატიაში (https://edu.aris.ge/news/ratom-aris-mniSvnelovani-gunduri-muSaoba-moswavleTa-ganviTarebisaTvis.html), იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა დღეისათვის უფროსკლასელებს შორის ინტერნეტ სივრცეში ჩართულთა პროცენტული

მაჩვენებელი დიდად არ უნდა ჩამოუვარდებოდეს 100%-ს. ჩნდება მოსაზრება, რომ მოსწავლეები სულ უფრო ნაკლებად ურთიერთობენ ერთმანეთთან პირდაპირი, უშუალო კომუნიკაციის გზით. ამის გამო მათ ეკარგებათ უშუალო ურთიერთობის აუცილებელი უნარები. ამიტომ, ავტორის აზრით, აუცილებელი ხდება, ამ უნარების დაუფლება სასწავლო პროცესში, უშუალოდ გაკვეთილზე, რადგან ონლაინ კომუნიკაციის არნახული ზრდის მიუხედავად, პირდაპირი კომუნიკაცია არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას. მე სრულად ვეთანხმები ავტორის ამ მოსაზრებას, რადგან ის ადამიანები, რომლებსაც სასკოლო ასაკიდან ექნებათ გამომუშავებული ურთიერთობის უნარი, სავარაუდოდ იქნებიან უფრო წარმატებულნი, ვიდრე ამ უნარს მოკლებულნი.

ავტორის აზრით, მოსწავლეებს გუნდური მუშაობა რომ ვასწავლოთ, საჭიროა, მასწავლებელმა მკაფიოდ აუხსნას მათ ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა. მოსწავლეები ჯგუფურ მუშაობაში უნდა ჩავაბათ მას შემდეგ, რაც მათთან ერთად განვიხილავთ რამდენიმე აუცილებელ საკითხს. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომელ საჭირო უნარებს განუვითარებს მათ გუნდური მუშაობა, რა უნარები უნდა ჰქონდეთ მათ, რომ გუნდური მუშაობა ეფექტური აღმოჩნდეს. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს და მათთან ერთად განიხილოს გუნდური მუშაობის დროს დასაცავი წესებიც. უნდა აღვნიშნო, რომ ზემოთჩამოთვლილ პირობებს აუცილებლად ვითვალისწინებ ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან უნარზე, რომლებიც სწორად წარმართული გუნდური მუშაობით შეიძლება განვუვითაროთ მოსწავლეებს

მოსმენა

მოსწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მოსმენის უნარი აუცილებელია. იგულისხმება, რომ ყველა მოსწავლეს უნდა შეეძლოს აზრის ისე გამოთქმა, არ შეაწყვეტინონ. აგრეთვე ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა საკითხი განიხილება, რათა არ გამოეთიშოს განხილვის პროცესს. ამის მისაღწევად შიძლება ერთი უბრალო საშუალების გამოყენება: მივცეთ მოსწავლეებს რაიმე პატარა საგანი და დავთქვათ, რომ ლაპარაკობს მხოლოდ ის, ვისაც ხელში ეს საგანი უკავია. საამისოდ გამოდგება პატარა ფუმფულა სათამაშო ან სულაც ჩვეულებრივი ფანქარი.

საუბარი

მოსწავლეები უნდა დავარწმუნოთ, რომ მათ სჭირდებათ აზრის გამოთქმის უნარი. მათ უნდა შეეძლოთ თავიანთი იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმა და სხვისი იდეებისა და მოსაზრებების შეფასება. მოსწავლეთა უმეტესობა არავითარ სირთულეს არ აწყდება მეგობრებთან საუბრისას, მაგრამ ჯგუფში რაიმე საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება სულ სხვა უნარებს მოითხოვს. აქ საჭიროა, მოსწავლემ აზრი არა ერთ ან ორ მეგობარს, არამედ ჯგუფის რამდენიმე წევრს გაუზიაროს, თანაც ისე, რომ მისი იდეები სხვებისთვისაც ადვილი გასაგები იყოს. მნიშვნელოვანია, აზრის გადმოცემისას მოსწავლემ გაითვალისწინოს დროის ფაქტორიც. თუ ის დიდხანს მოუნდა თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებას, მის მეგობრებს ყურადღება

გაეფანტებათ და შესაძლოა, მისი სავსებით სწორი მოსაზრება დაიკარგოს. მეტისმეტად დიდხანს ლაპარაკი ერთსა და იმავეზე ან ერთი მოსაზრებიდან მეორეზე გადახტომა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

თავდაჯერება

ჩვენი რწმენით, ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს თავდაჯერების გამომუშავებას. ჯგუფში წარმატებული მუშაობისთვის მოსწავლეებს სჭირდებათ თვითრწმენა, საკუთარი თავის რწმენა. მათ თავიანთი აზრები გაბედულად უნდა გამოთქვან და მიიღონ ნეგატიური უკუკავშირი ისე, რომ არ განაწყენდნენ და მუშაობის გაგრძელება შეძლონ. თავდაჯერების, თვითრწმენის ჩამოყალიბება რთული, ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ რაც უფრო მეტად მიიღებს მოსწავლე ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობას, რაც უფრო უკეთ ისწავლის სხვების მოსმენას და აზრის გამოთქმას, მეტად თავდაჯერებულიც გახდება.

ჯგუფური მუშაობა მხოლოდ ზემოთ განხილული უნარების განვითარებას როდი უწყობს ხელს – რასაკვირველია, კიდევ ბევრის ჩამოთვალა შეიძლება: ურთიერთპატივისცემა, ლიდერობის გრძნობა, როლების განაწილება, პასუხისმგებლობა და სხვ. თუმცა მიგვაჩნია, რომ მოსმენა, საუბარი და თავდაჯერება წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ უნარებს, რომელთა განვითარებაც ჯგუფური მუშაობით არის შესაძლებელი. ჩემის მხრივ დავამატებდი ურთიერთდახმარებას, თანაგანცდას და გუნდურობის გრძნობის ჩამოყალიბებას

იმისათვის, რომ ჯგუფური მუშაობა აღმოჩნდეს საინტერესო და შედეგიანი, მასწავლებელმა იგი ეფექტიანად უნდა დაგეგმოს და წარმართოს. ამ საკითხს მიუძღვნეს თავისი სტატია ,, ჯგუფური მუშაობის პრინციპები" ავტორებმა მარეხი ჯელაძემ და შორენა მიქაბერიძემ

(https://dgsalt.blogspot.com/2017/02/princip.html

ისინი აღნიშნავენ, რომ იმისათვის რომ ჯგუფურმა მუშაობამ გააუმჯობესოს სწავლის ხარისხი და თავიდან აგვაცილოს მოსალოდნელი პრობლემები, სასურველია იგი დავყოთ 4 ფაზად : **დაგეგმვის, წარმართვის, პრეზენტაციის და რეფლექსიის ფაზად.**

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ავტორთა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ გაკვეთილიზე ჯგუფური მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ თემის დასაწყისში, რათა მოსწავლეებმა წინასწარ მოიფიქრონ, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შესასწავლ თემას, უშუალოდ საკითხის ჩაღრმავების მიზნით, ან თემის შესაჯამებლად. გაკვეთილის ამ ეტაპზე ჯგუფური მუშაობის გამოყენება ჩემთვის სიახლეა და საკმაოდ საინტერესოა. კვლევის პროცესში შევეცდები პრაქტიკულად განვახორციელო იგი.

ავტორები ფაქტობრივად თანხვედრაში მოდიან დ. ბოლქვაძის მიდგომასთან, როდესაც აღნიშნავენ, რომ ჯგუფური მუშაობა მოსწავლეებს ამზადებს რეალური ცხოვრებისათვის, სადაც სამსახურებში ადამიანებს ერთად უწევთ პრობლემების გადაწყვეტა. მათი აზრით საინტერესო საკითხია პასუხისმგებლობის განაწილება. დღევანდელ ყოველდღიურობაში სხვადასხვა ტიპის ადამიანები ცდილობენ ერთი მიზნის მიღწევას და ამას ვერ მოახერხებენ, თუ რომელიმე მათგანი მხოლოდ თავის თავზეა

ორიენტირებული. ჯგუფში მუშაობა გვთავაზობს საკითხის სხვადასხვაგვარ ხედვასა და განსხვავებულ არგუმენტებს. ამგვარად აფართოვებს თვალსაწიერს. კვლევებმა აჩვენა, რომ ჯგუფური მუშაობა, ისევე როგორც წყვილებში მუშაობა, უფრო შედეგიანია, როცა ჯგუფები ჰეტეროგენურია (იგი შედგება სხვადასხვა სქესის, წინარე ცოდნისა და მოსწრების მქონე მოსწავლეებისაგან.). აქ დავამატებდი, რომ ასეთი მიდგომის სისტემატიურად გამოყენების შემთხვევაში, ჩემი აზრით მაქსიმალურად შემცირდება ბულინგის ყველა სახის გამოვლინება მოსწავლეებს შორის, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ ჯგუფური მუშობის ორგანიზებისა და მართვის სხვადასხვა ეტაპებს, კერძოდ:

როგორ დავაჯგუფოთ მოსწავლეები?

- შემთხვევითობის პრინციპით (გათვლა, ერთნაირი ბარათების აღება, კანფეტების ფერები, დაბადების დღეები).
- მასწავლებელი გადაწყვეტს როგორ დააჯგუფოს, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეების მხრიდან წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად, მასწავლებელს მოუწევს ახსნა, რატომ გადაწყვიტა ასე და რომელი წევრისაგან რა წვლილს მოელის საერთო საქმეში.
- მოსწავლეები გადაწყვეტენ როგორ დაჯგუფდნენ, იმისდა მიხედვით ვის რომელი თემა აინტერესებს ან პირადი სიმპათიის გამო; ამგვარი დაჯგუფების დადებითი მხარე ისაა, რომ ჯგუფის წევრები მშვიდად და დაცულად გრძნობენ თავს, უარყოფითი კი ის, რომ სხვებთან ახლო კონტაქტის შანსს კარგავენ,ანდა ზოგიერთი მოსწავლე საერთოდ ჯგუფის გარეშე შეიძლება დარჩეს.

მოსწავლეების უბრალოდ იმის მიხედვით გადანაწილება ჯგუფში, თუ ვინ ზის ერთმანეთთან ახლოს, არაა ჯგუფებად დაყოფა, ეს უფრო რაღაც წრეს გავს, სადაც ისინი მიჩვეულ გარემოში მყუდროდ გრძნობენ თავს. კარგი ჯგუფი გულისხმობს განსხვავებული ასაკის, სქესის, წინარეცოდნის, სხვადასხვა აკადემიური მოსწრებისა და კულტურის წარმომადგენლების ერთობლიობას (თუ მიზნიდან გამომდინარე საჭირო არაა აუცილებლად ჰომოგენური ჯგუფის არსებობა).

- მაღალი და დაბალი აკადემიური მოსწრების მიხედვით დაჯგუფება (ჰომოგენური ჯგუფი): აქ საჭიროა სიფრთხილე, ასეთი ჯგუფების ხშირად ჩამოყალიბებამ ხელი არ შეუშალოს ცოდნის გაზიარებას და არ გააჩინოს აკადემიური ნაპრალი.
- განსხვავებული აკადემიური მოსწრების მქონე (ჰეტეროგენული) ჯგუფები სასურველია იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მოსწავლეს აქვს გაზიარებისა და ცოდნის/გამოცდილების ახალ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობა.

ჯგუფის ზომა კი დამოკიდებულია დავალების შინაარსს, მიზანსა და კლასის წყობაზე.ალბათ ყველაზე აზრიანია 3-5 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი. მასწავლებელს რასაკვირველია ვარირების საშუალება აქვს. იმისათვის რომ ჯგუფურმა მუშაობამ ნაყოფიერად ჩაიაროს, საჭიროა წევრებმა გაიაზრონ, რომ უნდა გაერთიანდნენ და სამუშაოს ორგანიზება დამოუკიდებლად შეძლონ.

მიუხედავად იმისა, რომ მეგონა, რომ ჯგუფებში გადანაწილება არ იყო პრობლემა და თავისუფლად ვართმევდი მოსწავლეებთან ერთად ამას თავს, აღმოჩნდა, რომ იმაზე მეტი ყურადღება აქვს დასათმობი და მეტად გასააზრებელია ჯგუფების ჩამოყალიბება, ვიდრე აქამდე ვუთმობდი და ვიაზრებდი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ამახვილებენ ავტორები ყურადღებას არის ის, თუ რა პრობლემა შეიძლება წარმოიშვას კლასში?

ჯგუფში ყოველთვის იქნება ჯგუფისა და პირად ინტერესთა კონფლიქტი, რაც დადებით მხარედაც კი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საჭირო გახდება საუკეთესო გამოსავლის პოვნა.

მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებმა ერთად შეიმუშაონ ჯგუფში მუშაობის წესები. მათ უნდა ისწავლონ: მუშაობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის პრინციპები, ასევე პასუხისმგებლობის აღება საკუთარ სამუშაოზე. ჯგუფში მუშაობა შეესაბამება ადამიანის სოციალურ მოთხოვნილებებს. თითოეულ მონაწილეს უხდება კამათი და საკუთარი აზრის არგუმენტირება. ეს ხელს უწყობს სოციალური ფიქრის, დამოკიდებულებებისა და ქცევის ჩამოყალიბებას..ჯგუფური მუშაობა საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა მრავალი განსხვავებული როლი პირადი იმედგაცრუების გარეშე მოირგონ. თვით გაუბედავი მოსწავლეებიც კი თავს დაცულად გრძნობენ და საშუალება ეძლევათ გამოთქვან აზრი, უჩნდებათ საკუთარი საჭიროების შეგრძნება.

ბოლომდე ვერ დავეთანხმებით ავტორებს, მართალია ეფექტური და შედეგიანია, როცა მოსწავლეები ერთად შეიმუშავებენ ჯგუფში მუშაობის წესებს და ამ შემთხვევაში გაუბედავი მოსწავლეებიც შეიძლება გრძნობენ თავს დაცულად და საშუალებაც ეძლევათ გამოთქვან საკუთარი აზრი, მაგრამ პრაქტიკაში ასე ხშირად არ ხდება, რადგან ლიდერები მაინც , თუნდაც უნებლიედ, მაგრამ თავის ხელში იღებენ ინიციატივას და გაუბედავები გარკვეულ გარიყულ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, ან უკეთეს შემთხვევაში სტატისტებად გვევლინებიან. ამიტომ მნიშვნელოვანია ჯგუფური სამუშაოს სწორად წარმართვა. აი, როგორ წარმოუდგენიათ ეს ეტაპი ავტორებს

ჯგუფური სამუშაოს წარმართვა

წარმატებისათვის აუცილებელია წესების შემუშავება:

ჯგუფური მუშაობისათვის საჭიროა ყველა ერმანეთს დავეხმაროთ და გავამხნეოთ,

- სხვისი აზრი ტოლერანტულად მივიღოთ
- მოვუსმინოთ და განვიხილოთ ერთმანეთის აზრი
- თავიდან ავირიდოთ პიროვნული უპატივცემლობა და შეურაცხყოფა
- არ გავრიყოთ ჯგუფის წევრი
- ყველამ მაქსიმალურად მივიღოთ მონაწილეობა
- არ გადავუხვიოთ თემასა და დავალების მიზანს
- განვიხილოთ და შევაფასოთ მოსალოდნელი პრობლემები
- ყველამ დავიცვათ წესები

როგორ დავანაწილოთ პასუხისმგებლობები ჯგუფის წევრებს შორის

იმისათვის რომ ჯგუფური სამუშაო ნაყოფიერად წარიმართოს,საჭიროა პასუხისმგებლობები გადავანაწილოთ:

- ვინ წარმართავს დისკუსიას;
- ვინ განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას;
- ვინ დაიცავს დროის ლიმიტს;
- ვინ უზრუნველყოფს წესების დაცვას;
- ვინ გააფორმებს პრეზენტაციას.

მასწავლებლის როლი ჯგუფურ მუშაობაში

მასწავლებელი არის ინიციატორი, ინფორმატორი, მასტიმულირებელი, შემფასებელი (ეხმარება საკუთარი თავის კონტროლში, შეფასებასა და რეფლექსიაში).

მასწავლებელი აკვირდება ჯგუფურ მუშაობას და საკუთარ თავს უსვამს შეკითხვებს:

- ხომ არავინ დომინირებს ჯგუფში, სხვები კი მხოლოდ მისი დამხმარეები არიან?
- ვინ ეძებს მასწავლებელს, რათა დაეხმაროს?
- ხომ არავინ გარიყეს?
- ვინ ვერ ახერხებს ჯგუფთან ურთიერთობას? და ა.შ

იმისათვის რომ არ განიცადოთ იმედგაცრუება, მასწავლებლის მხრიდან გასათვალისწინებელია: შეესაბამება თუ არა დავალება ჯგუფში მუშაობის სპეციფიკას, ხომ არაა ძალიან მარტივი?

ჯგუფებისთვის მისაცემი თემები ერთნაირი უნდა იყოს თუ განსხვავებული?

ჯგუფებს შეიძლება ერთი და იგივე თემის სხვადასხვა ასპექტები მივცეთ განსახილველი და შემდეგ საერთო შედეგი შევაჯამოთ. აქ მასწავლებელმა თავის თავს უნდა დაუსვას შეკითხვა: რამდენად თანაბრად მიიღო ყველამ ინფორმაციაყველა ასპექტში?

პროდუქტი

ჯგუფების ნამუშევრები სასურველია მეთოდურად მრავაფეროვნად იყოს წარმოდგენილი:

- წერილობით
- კედლის გაზეთი /ფლაიერი
- პორტფოლიო
- აუდიო, ვიდეო მასალა
- ინტერვიუ ექსპერტებთან
- კოლაჟი
- დისკუსიები
- მოდელები
- როლები

- პრეზენტაცია

უკუკავშირი

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს იმპულსს აძლევს მეტაკომუნიკაციისათვის. მოსწავლეები უნდა დავაფიქროთ და ვამსჯელოთ ჯგუფურ მუშაობაზე, რა და როგორ შეასრულეს, არა მარტო შინაარსობრივად, არამედ სოციალური ურთიერთობების დონეზე, რათა გააცნობიერონ, როგორ იურთიერთონ მომავალში უკეთესი შედეგის მისაღწევად.

შეფასება

შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციის ხარისხი და შინაარსი. სასურველია მასწავლებელმა ჯგუფს მისცეს წერილობითი ან ზეპირი განმავითარებელი შეფასება, სადაც ასახევს ჯგუფის მუშაობაზე მისი დაკვირვების შედეგებს. წევრების ინდივიდუალურ შეფასებას მაშინ აქვს აზრი, როცა მათ ცალცალკე განსხვავებული დავალებები აქვთ მიცემული. შესაძლებელია ჯგუფის საერთო შეფასებას გავლენა ჰქონდეს წევრთა შეფასებაზე.

ჯგუფის შესაფასებლად სასურველია გამოვიყენოთ წინასწარ გამზადებული რუბრიკა

ჩემი აზრით ზემოთჩამოთვლილი პირობების გათვალისწინება აუცილებელია ყველა მასწავლებლისათვის, მაგრამ ამის შესრულება მოითხოვს მაქსიმალურ მობილიზებას, დიდ ძალისხმევას, შესაბამის გამოცდილებას, რასაც გარკვეული, არც თუ ისე მოკლევადიანი დრო სჭირდება. ამავე დროს ხაზგასასმელია, რომ გაკვეთილების ამ ფორმით წარმართვა საინტერესო და ხალისიანი იქნება არა მარტო მოსწავლეებისათვის არამედ ჩემთვისაც, (http://methodenpool.uni-koeln.de/download/gruppenarbeit.pdf)

ჯგუფური მუშაობის უპირატესობებზეა საუბარი ინტერნეტ გაზეთ ,,მასწავლებელში'' გამოქვეყნებულ სტატიაში ,,ჯგუფური მუშაობის როლი სასწავლო ქმედებების ფორმირებაში'' (2015 წლის 3 აპრილი) მაია ფირჩხაძე (http://mastsavlebeli.ge/?p=1721)

ავტორის აზრით ჯგუფური მუშაობის უპირატესობა ისაა, რომ იგი თითოეულ მოსწავლეს აძლევს აზროვნების, საუბრის და მოქმედების საშუალებას, რადგან სხვა ადამიანის მიერ დასმული თუნდაც მარტივი შეკითხვა უკვე წარმოადგენს ძლიერ სტიმულატორს შემეცნებითი და აზროვნებითი პროცესების გააქტიურებისთვის. აქედან გამომდინარე, ჯგუფი წარმოადგენს იმ მინიმალურ ერთეულს, რომელზეც აიგება მომავალი სასწავლო თანამშრომლობა.

ამასთანავე ავტორი ყურადღებას ამახვილებს ჩამთვის საინტერესო და გარკვეულწილად პრობლემურ საკითხზე, კერძოდ იმ სირთულეებზე, რომელიც ახლავს ამ ურთიერთობებს. იგი შემდეგნაირად აყალიბებს ,,მოსწავლე-მასწავლებლის'' მუშაობის თავისებურებებს:

სასწავლო პროცესში თანამშრომლობის სწავლას, ანუ ჯგუფურ მუშაობას მოსწავლე მასწავლებელთან ურთიერთობით იწყებს. ამიტომ მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს:

●·გარკვეული ნორმები, ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე შეძლებს დავალებების შესრულებას;

●·ისეთი სავარჯიშოები, რაც აიძულებს მოსწავლეს, იპოვოს თანამშრომელი, პარტნიორი, მეწყვილე, ჯგუფელი; დაინახოს საჭირო მონაცემების შეგროვების, მოპოვების აუცილებლობა და საამისოდ შეძლოს სივრცესა და დროში ორიენტაცია და გადაადგილება.

●·ისეთი დავალებები, რომლებიც მოსწავლის ყურადღებას, ორიენტაციას წარმართავს რამდენიმე მიმართულებით: მიცემული დავალების შესრულებისკენ და მასწავლებლის ქმედებისკენ;

●·დავალებები, რომლებსაც არ აქვთ გადაწყვეტის გზა; რომლებიც შეუძლებელს ხდიან მასწავლებლის დავალების შესრულებას;

●·დავალებები, რომლებიც არასაკმარის მონაცემებს შეიცავენ და ამის გამო მოსწავლემ არა მარტო უარი უნდა თქვას მათ შესრულებაზე, არამედ უნდა მოსთხოვოს მასწავლებელს არასაკმარისი მონაცემების მიზეზების ახსნა;

ჩემი აზრით მასწავლებლის მიერ ამ ნორმების სისტემატიურად გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობის უნარების ჩამოყალიბება-გაღრმავებას, შესაბამისად პერსპექტივაში მათ გამოუმუშავდებათ მათ წინაშე წამოჭრილი ამოცანის დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი. ასეთ ვითარებაში ჩემი ამოცანა იქნება ხელი შევუწყო მოსწავლეებს თავიანთი საქმიანობის ორგანიზებაში.

სტატიაში ნაჩვენებია, თუ რა როლის შესრულება მოუწევს მასწავლებელს, როგორც ჯგუფური მუშაობის ორგანიზატორს:

- ჯგუფებისთვის სამუშაო მიმართულების განსაზღვრა;
- სამუშაოს პროცედურული კონტროლი;
- ოპონირება;
- რეფლექსია.

ამის მისაღწევად მასწავლებელმა უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს

- რისთვის მჭირდება ეს სამუშაო?
- რა ადგილს იკავებს იგი მოცემული თემისა თუ გაკვეთილის შესწავლაში?
- რა შედეგი მინდა მივიღო?

მოცემულ კითხვებზე პასუხის შემდეგ მასწავლებელი უკვე აირჩევს ჯგუფური მუშაობის შესაფერის ფორმას.

სტატიაში ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო მონაკვეთი აღმოჩნდა ჯგუფური მუშაობის პროცესის აუცილებელი ნაწილის რეფლექსიის აღწერა-ანალიზი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რეფლექსია. თავისი არსით აუცილებლად გულისხმობს საკუთარი ქმედებების გააზრებას, მათ რეგულაციას. შესაბამისად, რეფლექსიის ამოცანაა, რომ ჯგუფი და თითოეული მოსწავლე აყალიბებდნენ თავიანთ წარმოდგენებს მომხდარი მოვლენების შესახებ.

მაგრამ როგორ გამოვიწვიოთ რეფლექსია? მისი სწავლა შეუძლებელია. იმ პერიოდში, როდესაც ბავშვის ქმედება ჯერ კიდევ არაა გააზრებული, არაა დამოუკიდებელი, გაცილებით მომგებიანია, რეფლექსიისას პარტნიორი იყოს ასევე არასრულწლოვანი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ადამიანი, ვიდრე ზრდასრული პიროვნება. აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფურ მუშაობას, რომლის დროსაც მასწავლებლის ჩარევა მინიმალურია

რეფლექსიამ, შესაძლოა, გარკვეული ცვლილებები შეიტანოს ჯგუფური მუშაობის მომზადების და ორგანიზების ფორმატში. ცხადია, არ იგულისხმება, რომ შესაძლებელია მოსწავლეთა ჯგუფის ერთხელ და სამუდამოდ ორგანიზება: ცვლილებებს იწვევს არა მარტო სამუშაოს ხასიათი, რომლის მიხედვითაც ხდება ჯგუფის ფორმირება, არამედ ასაკის ზრდასთან ერთად, მოსწავლეთა განსხვავებული აზროვნება და ქცევაც, რომელიც ჯგუფების ფორმირებისთვის და შედეგის მიღწევისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია. ჯგუფურ სამუშაოს მაშინაც შეიძლება მიმართოს მასწავლებელმა, როდესაც ბავშვები გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებიან: რეფლექსიის ფაზაში ხშირად სწორედ ჯგუფური სამუშაოა სასკოლო თანამშრომლობის, საქმიანი და პირადი ურთიერთობების გამოხატვის ყველაზე ეფექტური საშუალება.

დავამატებდით, რომ რეფლექსია ხელს შეუწყობს როგორც ჯგუფის, ასევე ინდივიდის თვითკრიტიკულ დამოკიდებულებას, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვას და წარმოჩენას, რაც ხელს შეუწყობს მომავალში წამოჭრილი პრობლემის, თუ ამოცანის უფრო ეფექტურად გადაჭრას

ჯგუფური მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებზეა გამახვილებული ყურადღება ლელა ტეფნაძის სტატიაში ,,ჯგუფური მუშაობა'', რომელიც გამოქვეყნებულია ბლოგზე ,,ორიონი'' (orioniblog.blogspot.com/2011/06/blog-post_3974.html)

სტატიაში ერთის მხრივ წარმოჩენილია ჯგუფური მუშაობის უპირატესობა ინდივიდუალურთან შედარებით კერძოდ ის, რომ ჯგუფური მ,უშაობა:

- ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას და სოციალიზაციის უნარის გაფართოებას
- ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეებს უფრო რთული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლიათ, რადგან ჯგუფში არსებული ცოდნა და უნარები აღემატება ამ ცოდნას, რომელიც შეიძლება ცალკეულ მოსწავლეს გააჩნდეს
- ჯგუფში მუშაობა მოსწავლეს უვითარებს ემპათიის გრძნობას
- მოსწავლე სწავლობს სხვისი აზრის გათვალისწინებას
- აცნობიერებს, რომ ყველა ადამიანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები

ამასთან ერთად ავტორი ყურადღებას ამახვილებს ჯგუფური მუშაობის უარყოფითი მხარეებზე, კერძოდ იმაზე, რომ ჯგუფური მუშაობის თანამშრომლობითი ხასიათი ხელს უშლის დამოუკიდებლად სწავლას, ასევე ჯგუფში შეიძლება გაჩნდეს ლიდერი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მასზე დამოკიდებულება და მისი აზრის უკრიტიკოდ მიღება. კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი სირთულე, რაც ახლავს ჯგუფურ მუშაობას არის ის, რომ ჯგუფური მუშაობის დროს რთულია თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, ვიღაცა შეიძლება სხვის ხარჯზე გავიდეს ფონს.

ავტორს მიაჩნია, რომ ამ უკანასკნელი სირთულის დაძლევა (როდესაც რომელიმე მოსწავლეს წვლილი არ შაქვს სამუშაოს შესრულებაში), შედეგის მომცემი იქნება, თუ მასწავლებელი თავად გაუნაწილებს მოსწავლეებს დავალებებს, შემდეგ კი მოახდენს შეფასებას როგორც ინდივიდუალურად , ასევე ჯგუფურად. ჩვენი აზრით ასეთი მიდგომა მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრის პრობლემას, რადგან ამ გზით ჩვენ გარკვეულწილად მივდივართ დამოუკიდებელ სწავლებამდე, გარდა ამისა მასწავლებლისთვის რთული იქნება ერთდროულად თვალყური ადევნოს ჯგუფების მუშაობასა და ასეთ ი კატეგორიის მოსწავლეებს, რაც გაურთულებს მას ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეფასებას. ამასთანავე ამ მოსწავლეებს შესაძლოა გაუჭირდეთ მასწავლებლის მხრიდან მათი ერთდროულად ინდივიდუალურად და ჯგუფურად შეფასების აღქმა, რაც საბოლოოდ გამოიწვევს მათი მოტივაციის დაქვეითებას. შესაძლებელია უფრო ეფექტური აღმჩნდეს, თუ მასწავლებელი ჯგუფის წევრებს დაავალებს (შესთავაზებს), რომ ხელი შეუწყონ ასეთი მოსწავლის ჩართულობას ჯგუფის მუშაობაში, ამისათვის თვითონ გაინაწილონ ფუნქციები სამუშაოს შესრულებისას.

ჯგუფური მუშაობის კიდევ ერთი უარყოფით მხარედ ნაშრომში მოყვანილია სიტუაცია, როცა შესაძლოა მოხდეს მცდარი ინფორმაციის გავრცელება ჯგუფში, თუკი ჯგუფის რომელიმე წევრს არასწორი ინფორმაცია აქვს.

მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი სიტუაციები არ უნდა გამორჩეს მასწავლებელს, იგი უნდა იყოს მაქსიმალურად მობილიზებული და ყურადღებიანი და საჭირო შემთხვევაში ჩაერიოს ჯგუფის მსჯელობაში და დაეხმაროს მოსწავლეებს სწორი გზის აღმოჩენაში, ანუ გადაიქცეს მათთვის ხარაჩოდ.

ჯგუფში მუშაობის ხელისშემშლელ ფაქტორად სტატიაში მოყვანილია სიტუაცია, როცა მოსწავლე ვერ ახერხებს ჯგუფში ინტეგრირებას, (მაგალითად მორცხვობის გამო). ამ ვითარებაში, ჩემი აზრით, ავტორი პოულობს სწორ გამოსავალს და მიაჩნია, რომ მასწავლებელმა თავად უნდა გაუნაწილოს ჯგუფის წევრებს როლები, მაგალითად :

●ერთი, ან რამდენიმე მოსწავლე იქნება პრეზენტატორი

● მკვლევარი

●ტექნიკური დირექტორი (ამარაგებს ჯგუფს რესურსებით)

●აღმწერი -- ინიშნავს ჯგუფის მუშაობის საფეხურებს და მიღწევებს

ამ შემთხვევაშიც მასწავლებელს მართებს მაქსიმალური ყურადღების გამოჩენა ჯგუფის მუშაობისას, რათა ჯგუფის ყველა წევრი ჩაერთოს ინფორმაციის მოპოვება-გაანალიზებასა და კონსტრუირებაში და მთლიანად არ გადაერთოს ე.წ. ,,მეორეხარისხოვან'' საქმიანობაზე

ჯგუფური მუშაობის კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად ავტორი ასახელებს მოსმენის ჩვევის ნაკლებობას, რაც ჩემი აზრით ერთ-ერთი მთავარი სირთულეა ჯგუფურ მუშაობაში, განსაკუთრებით დაბალ და საშუალო (5-7) კლასებში, როდესაც მოსწავლეებს უჭირთ ერთნმანეთის აზრის ბოლომდე მოსმენა, მითუმეტეს, რომ მათ აზრის მწყობრად გადმოცემის უნარიც არ აქვთ ბოლომდე მკაფიოდ გამომუშავებული.

ხშირად მათთან ემოციებიც ჭარბობს. ყოველივე ეს იწვევს არაორგანიზებულობას, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ქაოსთან და დავალების შეუსრულებლობასთან, ან ნაწილობრივ შესრულებასთან.

ამ სიტუაციიდან გამოსვლის ერთ-ერთ ეფექტურ გზად ავტორი გვთავაზობს იმ სავარჯიშოს ჩატარებას, რომელსაც მუისი და რეინოლდსი გვთავაზობენ. მასწავლებელი თხოვს მოსწავლეს, სანამ თვითონ დაიწყებს პასუხის გაცემას, გაიმეოროს წინა მოსწავლის პასუხი. აუცილებლად გამოვიყენებ ამ მეთოდს საჭიროების შემთხვევაში.

თავი IV. კვლევის დიზაინი

4.1. საკვლევი საკითხის კითხვები

მთავარი შეკითხვა

რა არის ჯგუფური მუშაობის დადებითი მხარეები და გამოწვევები?

- მართვის თვალსაზრისით რა ტიპის პრობლემებს ვხვდებით ყველაზე ხშირად?
- რა უნარების განვითარებას ემსახურება ჯგუფური მუშაობა?
- რა სტრატეგიებს ვიყენებ ჯგუფური მუშაობისას?
- რამდენად ვიყენებთ კოლეგების გამოცდილებას?
- რა სტრატეგიებს მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან ჯგუფური მუშაობის ეფექტურად ჩატარება

4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. კოლეგები, იმიტომ რომ გამოცდილება აქვთ.

2. სხვა საგნის მასწავლებლები, რადგან პრობლემა გამჭოლია (შემთხვევით შერჩეული პოპულაცია - ინტერნეტ გამოკითხვა)

3. მოსწავლეები - 26 (საშუალო საფეხური)

4.3. კვლევის მეთოდები

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- გამოკითხვა – აღნიშნულ მეთოდს მივმართე, მოსწავლეებში, რადგან მიმაჩნია, რომ გამოკითხვისას შესაძლებელია ბევრი ინფორმაციის მცირე დროში მიღება, ასევე მარტივია მონაცემების დამუშავება
- ფოკუს ჯგუფი – აღნიშნულ მეთოდს მივმართე, რადგან მიმაჩნია, რომ პირადი საუბრებისას ფართოდ შესაძლებელია პრობლემების დანახვა, ასევე შესაძლებელია ისეთი აზრის განვითარებაც, რომელზეც კვლევის წარმმართველ ჯგუფს მანამ არ უფიქრია. იმისათვის, რომ საუბრები არ

გადავიდეს უმიზნო კამათში, აუცილებელია სავარაუდო შეკითხვების წინასწარ შედგენა. მართალია, აღნიშნული მეთოდი განეკუთვნება თვისობრივ მეთოდთა ჯგუფს და ამიტომ მონაცემები რთული დასამუშავებელია, მაგრამ ჩვენ გავაკეთებთ მოკლე ჩანაწერებს ან ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში აუდიო ჩანაწერს, რათა არ დაიკარგოს არც ერთი მონაწილის აზრი

- ინტერნეტ გამოკითხვა - მეთოდი ძალიან საინტერესოა, იმდენად, რამდენადაც ანგრევს ერთი სკოლის საზღვრებს და პრობლემას ვხედავთ სხვადასხვა ტიპის, რეგიონის, ან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი სკოლების მასწავლებლების თვალითაც. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გამოკითხვის რისკი გახლავთ ის, რომ ონლაინ არავინ შეავსებს დიდი ზომის კითხვარს, ამიტომ აუცილებელია 2-3 კითხვა იყოს არსებითი და მნიშვნელოვანი.

4.4. კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
პრობლემის იდენტიფიცირება	V					
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	V					
არსებული მონაცემების შეგროვება	V					
არსებული მონაცემების ანალიზი	V					
კითხვარის შედგენა, დამუშავება		V				
შეხვედრები კოლეგებთან		V	V	V	V	V
ფოკუსჯგუფი		V				
შედეგების ანალიზი			V			
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა			V			
ინტერვენციის განხორციელება			V	V	V	V
ინტერვენციის შედეგების ანალიზი						V
პრეზენტაცია სასაკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა						V

თავი V. კვლევის შედეგები

5.1. მონაცემების ანალიზი

მოსწავლეთა გამოკითხვისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:




ჯგუფურ მუშაობაში არ მომწონს ის, რომ:
33%
25%
25%
17%
სუსტები ზოგჯერ გარიყულები არიან, არ არიან ჩართული პროცესში
ჯგუფის ყველა წევრი არ ერთვება მუშაობაში
ჯგუფში მხოლოდ ერთი და იგივე მოსწავლეები მუშაობენ
ჯგუფური მუშაობას ახასიათებს არაორგანიზებულობა და გაურკვევლობა


რა უნარის განვითარებას უწყობს ხელს ჯგუფური მუშაობა?
36%
33%
17%
7%
7%
ანალიზის, ფიქრის, აზრის გამოთქმის, ზროვნების განვითარებას----------
სხვისი მოსმენის და ერთობლივი მუშაობის
კომუნიკაციის
ურთიერთპატივისცემის
არანაირ უნარს არ ავითარებს


ყოველთვის ხართ თუ არა ჩართული ჯგუფის მუშაობაში ?
13%
87%
ყოველთვის ჩართული ვარ
მეტნაკლებად ვარ ჩართული


ყოველთვის არ ვარ ჩართული იმიტომ რომ:
22%
11%
67%
ვერ ვერკვევი განსახილველ საკითხში
არ ვინდომებ
მორცხვობა


შეფასების რომელ ტიპს იყენებს მასწავლებელი
100%
ორივეს -- განმავითარებელსა და განმსაზღვრელს


რამდენად გასაგები და მისაღებია
განმავითარებელი შეფასება ?
21%
79%
● მისაღები და გასაგებია, რადგან წარმოაჩენს დაშვებულ შეცდომებს, საშუალებას იძლევა მითითებების გათვალისწინება
მისაღები და გასაგებია


რამდენად ითვალისწინებთ განმავითარებელ შეფასებას ?
100%
ყოველთვის ვითვალისწინებ და ვცდილობ გამოვასწორო მითითებული ხარვეზები, შემდგომში არ დავუშვა მსგავსი შეცდომა


რა სიხშირით გსურთ ჯგუფური მეცადინეობის ჩატარება /
30%
17%
9%
13%
9%
9%
13%
თვეში ერთხელ
კვირაში ერთხელ
ორ კვირაში ერთხელ
სემესტრში ერთხელ
ხშირად
მაქსიმალური სიხშირით, რამდენადაც შესაძლებელია
საგანს გააჩნია



ინტერნეტ გამოკითხვა

ინტერნეტ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 9 რესპონდენტმა

კითხვა №1

1. რა პრობლემებს აწყდებით ჯგუფური მუშაობისას ?

ორმა გამოკითხულმა ანალოგიური პასუხი გასცეს, მათი აზრით ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომ: ●ჯგუფში მხოლოდ რამდენიმე მუშაობს, და დანარჩენი მუშაობის გარეშე იმსახურებენ შეფასებას,

● ზარმაცი წევრი ადვილად ,,დაიძვრენს'' თავს ბეჯითის ხარჯზე

ორი რესპონდენტისათის პრობლემას წარმოადგენს ხმაური, კიდევ ორისთვის ობიექტური შეფასება (განსაკუთრებითმრავალრიცხოვან კლასებში, როცა ჯგუფებში ექვსი და მეტი მოსწავლეა),
კიდევ ერთი გამოკითხულს მიაჩნია, რომ იკარგება დრო, ერთმაც ჯგუფის წევრებს შორის უთანხმოება დაასახელა პრობლემად

კითხვა № 2

როგორ მართავთ ჯგუფური მუშაობის პროცესს ?

ოთხმა რესპონდენტმა უპასუხა, რომ ჯგუფურ მუშაოაბს ისინი მართავენ მოსწავლეებთან ერთად წინასწარ შემუშავებული წესების დაცვით, ამასთანავე მუშაობისას ხშირად შეახსენებენ წესებს, კიდევ ერთი კი თვითონ აძლევს ინსტრუქციებს და ამასთანავე აკონტროლებს მუშაობის პროცესს.
ერთ-ერთი რესპონდენტი ჯგუფური მუშაობის მართვას აღწევს იმით, რომ ჯგუფს ურიგებს მუშაობის რუბრიკას და შეფასების კითხვარს, მისი კოლეგა კი თვლის, რომ ჯგუფის ლიდერი ვალდებულია თითოეული წევრი თანაბრად ჩართოს მუშაობის პროცესში
დასანანია, მაგრამ ორ მონაწილეს, ჩემი აზრით ზერელე პასუხები აქვს გაცემული: გარგად, დამაკმაყოფილებლად

კითხვა № 3

როგორ აღწევთ, რომ ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად იყოს ჩართული ჯგუფის მუშაობაში, მოიყვანეთ თუნდაც ერთი მაგალითი
სამი გამოკითხული ჯგუფის თითოეულ წევრს მათი შესაძლებლობების მიხედვით ურიგებს დავალებას, თუმცა, მათგან ორი აღნიშნავს, რომ ყოველთვის ამას ვერ ახერხებენ, განსაკუთრებით, თუ კლასი მრავალრიცხოვანია

ერთი რესპონდენტი მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს შეახსენებს , თუ როგორაა ფუნქციები გადანაწილებული წევრებს შორის, რომ ჯგუფური მუშაობა ჯგუფის ყველა წევრმა უნდა შეასრულოს, რომ ჯგუფურ მუშაობაზე ყველა წევრია პასუხისმგებელი

კიდევ ერთი გამოკითხული გვთავაზობს კონკრეტულ სტრატეგია კერძოდ ,,ჯიქსოუს“ , იგივე ,,მოზაიკის'' მეთოდის გამოყენებას.
გამოკითხვის ერთ-ერთ წევრი აკვირდება, თუ როგორ ინაწილებენ ფუნქციებს ჯგუფის წევრები, საჭიროების შემთხვევაში ერთვება ამ პროცესში, პასიურ მოსწავლეს აძლევს ადაპტირებულ ინსტრუქციას. ანალოგიურად იქცევა კიდევ ერთი პედაგოგი, რომელიც ასევე აწარმოებს მუდმივ დაკვირვებას და საჭიროების შემთხვევაში იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს.
ერთმა კვლავ ზერელე პასუხი გასცა: აზრს ვუსმენთ

კითხვა №4

გაგვიზიარეთ ჯგუფური მუშაობის რამდენიმე სტრატეგია

ამ კითხვაზე პასუხები საკმაოდ მრავალფეროვანია, მათ შორის ორის პასუხი მსგავსია, რადგან ისინი კონკრეტულ მეთოდებს გვთავაზობენ, კერძოდ ჯიქსოუ, სასწავლო გაჩერებები, სეგმენტური მეთოდი.

საკმაოდ ტევადი და შინაარსიანი პასუხი აქვს გაცემული ერთ-ერთ გამოკითხულს, რომელიც გვაძლევს მის მიერ გამოყენებულ ორ სტრატეგიას:

1. იგი თავისი სიტყვებით აღწერს მის მიერ გამოყენებულ სტრატეგიას, რომელი შეიძლება ჩავთვალოთ სეგმენტურ მეთოდად, კერძოდ ის აღნიშნავს, რომ აძლევს ვრცელი ტექსტის ნაწყვეტებს, მერე ყვებიან ამბებს, ერთმანეთს უსმენენ და ყველა ჯგუფი ,,კერავს'' სრულ ისტორიას, ამას თან ახლავს უცხო სიტყვების, ტერმინების განმარტება და სქოლიოს შექმნა

2. აძლევს ერთი და იგივე ტექსტს სხვადასხვა დავალებებით, მაგალითად:

I - მოცემული ტექსტის მიხედვით მოსწავლეები ჩამოწერენ ტექსტში აღწერილი მოვლენების ქრონოლიგიას

II კონტურულ რუკაზე დააქვთ ტექსტში დასახელებული ისტორიული/ გეოგრაფიული ადგილები, ან სალაშქრო მარშრუტი, ან ბრძოლის გეგმა, რაც შეიძლება ტექსტიდან გამომდინარეობდეს

III -- ამოწერენ ტექსტიდან დღეს ხმარებიდან გამოსულ სიტყვებს და დაურთავენ განმარტებებს

IV -- ამოწერენ ტექსტში დასახელებულ ისტორიული პირებს და შეძლებისდაგვარად დაამატებენ მათთვის უკვე ნაცნობ ისტორიას მათ შესახებ

დანარჩენი პასუხები კი ასე ჟღერს:

● ლიდერმა უნდა შეაფასოს ჯგუფის წევრების შესაძლებლობები და აქედან გამომდინარე მისცეს თითოეულს შესაფერისი დავალება. ასე ჯგუფის ყველა წევრი იქნება ჩართული მუშაობაში

● ითანამშრომლე და ისინიც ანალოგიურად მოიქცევიან

●აუცილებელია თავად ჯგუფმა აირჩიოს ლიდერი, ასევე მნიშვნელოვანია კრიტიკოსის ფუნქცია და ჩრდილოვანი მრჩევლის ა.შ. ასევე დროის ლიმიტის კონტროლი

● ჯგუფში მუშაობის დაწყებამდე დაფაზე ვწერ ჯგუფში მუშაობის წესებს

● რაც ჩვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული

● კვლავ ვერ ავცდით არაფრისმთქმელ პასუხს: კი

ფოკუს ჯგუფის ანალიზი

კვლევის წარმატებით ჩატარების მიზნით კვლევის ჯგუფის წევრებმა ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა-ინტერვიუ. მასში მონაწილეობდნენ ხუთი -- ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, საბუნებისმეტყველო, მათემატიკისა და საზოგადოებათმცოდნეობის კათედრის ათამდე უფროსი, წამყვანი და პრაქტიკოსი მასწავლებელი. ფოკუს ჯგუფისათვის კვლევის მონაწილეებმა წინასწარ შევადგინეთ კითხვები ინტერვიუსათვის :

1. რა სიხშირით ატარებთ ჯგუფურ მუშაობას ?

2. რა მიზნის მისაღწევად იყენებთ ჯგუფურ მუშაობას ?

3. როგორია თქვენი მონიტორინგის მექანიზმი მოსწავლეების ჩართულობის შესამოწმებლად ? რამდენად ეფექტიანია თქვენ მიერ გამოყენებული აღნიშნული მექანიზმი ?

4. როგორ ხდება ამ სირთულეების დაძლევა ?

5. რა სირთულეებს აწყდებით ჯგუფური მუშაობის ორგანიზებისა და ჩატარებისას ?

6. ყოველთვის ვაღწევ თუ არა მიზანს ?

7. შეფასების რა მეთოდს იყენებთ ჯგუფური მუშაობისას ?

8. რატომ ანიჭებთ უპირატესობას თქვენ მიერ გამოყენებულ შეფასების მეთოდს ?

9. თქვენი აზრით რაში მდგომარეობს ჯგუფური მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები ?

1. პირველი კითხვის განხილვისას ფოკუს ჯგუფის წევრთა მსჯელობის დროს გამოიკვეთა საერთო აზრი, რომ ჯგუფური მუშაობას ატარებენ საშუალოდ თვეში ერთხელ და მისი ჩატარება ამ სიხშირით განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, ისეთებით, როგორიცაა:

● კონკრეტული საგნის სპეციფიკა, მაგალითად უცხო ენების სწავლების სპეციფიკა

● გაკვეთილის თემატიკის სპეციფიკა

● საგაკვეთილო, ან თემატური მიზანი, როცა ჯგუფური მუშაობა უკეთ მიგვაღწევინებს დასახულ სასწავლო მიზანს

● ყოველი შესწავლილი თემის დასრულება (ასეთი სემესტრში შეიძლება იყოს სამი , ან ოთხი)

● ჯგუფურ მუშაობის მომზადებასა და მის წარმატებით და შედეგიანად ჩატარებას სჭირდება საფუძვლიანი მომზადება როგორც მასწავლებლის, (საჭირო რესურსებისა და მასალების მოძიება და სისტემატიზაცია, სხვადასხვა ჯგუფებისათვის თანაბარი სირთულის დავალების მიცემა მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გათვალისწინებით), ასევე მოსწავლეების მხრიდან (წინარე ცოდნის დაუფლება)

● უფრო მეტი სიხშირით მისი ჩატარება შესაძლებელია მოსაბეზრებელი აღმოჩნდეს მოსწავლეებისათვის, რაც გამოიწვევს მათი მოტივაციის დაქვეითებას.

ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდა სხვა საკითხის განხილვის შემდეგაც, როცა საუბარი იყო იმ სირთულეებზე, რასაც აწყდებიან პედაგოგები ჯგუფური მუშაობის ორგანიზებისას და ჩატარებისას.

2. მეორე კითხვის განხილვისას ფოკუს ჯგუფის მონაწილეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ჯგუფური მუშაობისას ხდება ისეთი უნარების ჩამოყალიბება, როგორიცაა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობა, განსხვავებული აზრის ჩამოყალიბება-დასაბუთება, სხვისი აზრის პატივისცემა, მსჯელობა, დროის ლიმიტის დაცვა.

უცხო ენების კათედრის მასწავლებლებისათვის ჯგუფური მუშაობა მნიშვნელოვანია იმით, რომ ის ეხმარება მოსწავლეებს ისეთი სპეციფიკური მიზნების მიღწევაში, როგორიცაა კომუნიკაციის დამყარება, უცხო ენაზე ლექსიკის, ზეპირი მეტყველების, საუბრის უნარ-ჩვევების განვითარება.

მასწავლებელთა ერთი ნაწილის აზრით ჯგუფური მუშობა მოსწავლეებს უბიძგებს, რომ წევრებმა ჯგუფში გადაინაწილონ და შეასრულონ ინდივიდუალური დავალებები, რათა ყველა იყოს ჩართული მუშაობაში და მერე ერთად შექმნან საერთო პროდუქტი. ასეთი მიდგომა, მათი აზრით, ხელს უწყობს პასიური, ან მორცხვი მოსწავლეების სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად ჩართვას.

მათემატიკის მასწავლებლის აზრით ჯგუფური მუშაობის გამოყენება ეფექტურია რთული საკითხების შესწავლისას, როცა ჯგუფის წევრები აზროვნებენ და ერთად ეძებენ გამოსავალს, დამხმარე კითხვების გამოყენებით მიდიან შედეგამდე. ასეთი ტიპის დავალებების შესასრულებლად მას გამართლებულად მიჩნია ამ აქტივობის გამოყენება, სხვა შემთხვევაში კი უპირატესობას ინდივიდუალურ მუშაობას ანიჭებს, რადგან ჯგუფური მუშაობისას იკარგება დრო.

3. ჯგუფური მუშაობის დროს მონიტორინგის მექანიზმზე მსჯელობისას ყველაზე ეფექტურად მასწავლებლებმა მიიჩნიეს დაკვირვების ჟურნალის გამოყენება, რომელშიც ჩამოწერილი იქნება ის კრიტერიუმები, რასაც ჯგუფის მუშაობისას უნდა მიექცეს ყურადღება. ამასთანავე ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა საჭიროდ ჩათვალა, რომ პედაგოგმა უნდა განახორციელოს ვიზუალური დაკვირვება, რისთვისაც ის უნდა გადაადგილდებოდეს რიგებს შორის და ზეპირად უნდა აღნუსხავდეს მიმდინარე პროცესს.

შეხვედრის ყველაზე აქტიურმა მონაწილე ნაწილობრივ დაეთანხმა კოლეგებს ზემოთ აღნიშნულში, მაგრამ ყურადღება გაამახვილა, ჩვენი აზრით, საკმაოდ პრობლემურ საკითხზე, რომ დაკვირვების ჟურნალის პრაქტიკაში გამოყენება რთულია, დროც მიაქვს და კონცენტრაციაც იკარგება, ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ამ მეთოდის გამოყენება. რაც შეეხება ვიზუალურ დაკვირვებას, მისი აზრით, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ყველაფრის ზეპირად დამახსოვრება შეუძლებელია. ამის დასადასტურებლად პედაგოგმა მოიყვანა მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან, ჯგუფური მუშაობის მსვლელობისას იგი აკვირდებოდა მოსწავლეთა მუშაობას და აძლევდა მათ საჭირო ზეპირ განმარტებებს, მითითებებს, მაგრამ ერთდროულად დაკვირვების დღიურის გამოყენება ვერ მოახერხა. მართალია, გაკვეთილის მსვლელობისას ვინც რაიმე ჰკითხა კი დაიმახსოვრა, მაგრამ იმ კონკრეტულ ჯგუფში ყველა მუშაობდა თუ არა ვეღარ გაიხსენა, უფრო მეტიც, ჯგუფებს ჰქონდათ წარმოებული საკუთარი შეფასება და რომ ეკითხებოდა ყველა წევრი იყო თუ არა ჩართული ჯგუფურ მუშაობაში, დადებით პასუხს იძლეოდნენ, მაგრამ როცა დაინტერესდა კონკრეტული ე.წ. ,,რისკის ზონაში'' მყოფი ბავშვების წვლილით (იყო მოლოდინი, რომ ისინი ნაკლებად იქნებოდნენ ჩართული მუშობაში), თუ რა გააკეთეს მათ, პასუხი ვერ გასცეს, რადგან მათ რეალურად არაფერი შეუსრულებიათ. აქედან გამომდინარე მან დაასკვნა, რომ დასახელებული მექანიზმის პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელია, ან ძალიან რთულია, რადგან საგაკვეთილო პროცესის დროს ამისათვის ხშირად დრო არ რჩება. სწორედ ამიტომ ამ მასწავლებლისათვის მოსწავლეთა ჩართულობის მონიტორინგის მექანიზმი მისთვის ბუნდოვანია.

შეხვედრის მონაწილეთა ნაწილი დაეთანხმა მას, ერთმა კი დააკონკრეტა, რომ მრავალრიცხოვან კლასებში ასეთი მეთოდის გამოყენება შეუძლებელია

ერთ-ერთმა მონაწილემ გამოთქვა აზრი, რომ ჯგუფმა უნდა აირჩიოს ერთი დამკვირვებელი, რომელიც დააკვირდება ჯგუფის მუშაობას და აღნუსხავს თითოეულის ღვაწლს. ამ მოსაზრებამ შეხვედრის მონაწილეთა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მათ თავიანთი პოზიცია დაასაბუთეს იმით, რომ ამ ხერხით ხელი ეწყობა ე.წ. ,,ვარსკვლავების'' გაჩენას, რაც წარმოქმნის არაჯანსაღ გარემოს. ასეთი მიდგომა ჩვენთვისაც ბუნდოვანი და გაუგებარია, რადგან რომც გამოვიყენო ეს ხერხი, საეჭვოა რამდენად სწორი და გამართლებული იქნება ასეთი დაკვირვების გამოყენება ჩართულობის შესამოწმებლად, მით უფრო, რომ გაკვეთილზე ერთდროულად ყველა ჯგუფის დაკვირვების შედეგების გაცნობა შეუძლებელი იქნება, შესაბამისად არაეფექტურიც.

4. შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის აზრით მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფის მუშაობისას მთელი სიმძიმე გადადის 1-2 მოსწავლეზე, დანარჩენი კი ინერტულია და მოწმის როლშია. მისი აზრით ამ სიტუაციიდან გამოსავალია, რომ დასაწყისშივე თვითონ გაინაწილონ ფუნქციები (პრეზენტატორი, ინფორმაციის მიმწოდებელი, ამოცანიდან მონაცემების ამკრები), ამასთანავე პასიურ მოსწავლეებს მიეცეთ დამხმარე კითხვები. მას არ დაეთანხმა ერთ-ერთი კოლეგა და თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ შეუძლებელია ასეთი კითხვების დასმა, რადგან მასწავლებელმა არ იცის მუშაობის რა ეტაპზეა ჯგუფი. ამ სირთულის დაძლევის ერთ-ერთ ეფექტურ გზად დასახელდა მეთოდი ,,მოზაიკა'', როდესაც ერთმანეთში შერწყმულია ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა და მოსწავლეები ,,იძულებულნი'' არიან თანაბრად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში.

ქართული ენის მასწავლებელმა კოლეგებს გაუზიარა თავისი გამოცდილება, მისი განმარტებით ის ქმნის ჯგუფებს ერთნაირი (მაღალი, საშუალო, დაბალი აზროვნების) შესაძლებლობების მოსწავლეებიდან, შესაბამისად დავალებაც მათ ეძლევათ დიფერენცირებული, მათი შესაძლებლობების მიხედვით. მასწავლებლის ასეთმა მიდგომამ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მხრიდან კრიტიკა დაიმსახურა. ისინი არ დაეთანხმნენ მას ასეთი მეთოდის ეფექტურობაში, აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია ობიექტურად შეაფასო მოსწავლე, ან ჯგუფი. მათ უჩნდებათ არასამართლიანობის განცდა და მიაჩნიათ, რომ რთული და იოლი დავალებების წარმატებით შესრულებისას ერთნაირი შეფასება არასწორი და არაობიექტურია. ეს კი თავის მხრივ გამოიწვევს ურთიერთობების გაციებას როგორც მასწავლებელსა და მოსწავლეებს, ასევე თვით მოსწავლეებს შორისაც. გარდა ამისა ამ ვითარებაში ირღვევა ჯგუფური მუშაობის პრინციპი, რადგან მისი გამოყენებით საერთო პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლებმა უნდა განავითარონ მოსწავლეებში თანამშრომლობის უნარი.

კიდევ ერთი სირთულე, რომელიც წარმოჩინდა საკითხის განხილვისას იყო, თუ რამდენად გამართლებულია ჯგუფური მუშაობის ერთი თვის სიხშირით (ანუ იშვიათად) ჩატარება და შესაბამისად ასეთივე სიხშირით განმავითარებელი შეფასების მიცემა.

5. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები შეჯერდნენ შემდეგზე: თანამედროვე ქართულ სკოლას ევალება შეასრულოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეს მიზნები კი ორიენტირებულია იმაზე, რომ ზოგადი განათლების სისტემამ უნდა ჩამოაყალიბოს პიროვნება, რომელიც შეძლებს საკუთარი თავის რეალიზებას კონკრეტულ გარემოში, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, მას უნდა ჰქონდეს უნარი თვითონ გაარკვიოს რა აკეთოს. შესაბამისად ყოველივე ეს არის სკოლის მიზანიც. ამ მიზნის მიღწევას კი სწორედ ჯგუფური მუშაობა უწყობს ხელს. და რომ მას ვატარებთ იშვიათად (როგორც გაირკვა ამ შეხვედრაზე), ეს ცუდია და პრობლემაა. აუცილებელია ვიფიქროთ ცოდნის ფუნქციაზე, მის გამოყენებაზე და ნაკლებად უნდა ვიყოთ ორიენტირებული მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე. ამიტომ რაც არ უნდა რთული იყოს, მასწავლებელმა უნდა მოახერხოს ჯგუფური მუშაობის უფრო აქტიურად გამოყენება.

ამასთანავე ჯგუფურ მუშაობა ვერ იქნება ეფექტური და შედეგიანი, თუ თუ მასწავლებელი არ დაძლევს შეხვედრაზე გამოკვეთილ სირთულეებს. ამ სირთულეების დაძლევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მათ დაასახელეს გაკვეთილის მსვლელობისას სხვადასხვა სიმბოლოების გამოყენება, კვლევის დღიურის წარმოება, ან კომენტარების დაწერა, თუმცაღა, მათი აზრით, ამ უკანასკნელის წარმოება გაკვეთილზე მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული

6. ყოველთვის ვაღწევ თუ არა მიზანს ?

სხვადასხვა მოსაზრება დააფიქსირეს მასწავლებლებმა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ ისინი დასახულ მიზანს ჯგუფური მუშაობისას, ერთი მასწავლებლის აზრით ეს დამოკიდებულია, სწავლების რომელი საფეხურის კლასია და როგორი მოსწრებისაა იგი. უცხო ენების კათედრის წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით , რომ მისი საგნის მიზანია კომუნიკაციის შესწავლა უცხო ენაზე, ჯგუფური მუშაობისას ყოველთვის აღწევს მიზანს, რადგან მეცადინეობის ამ ფორმით მოსწავლეები ქმნიან საბოლოო პროდუქტს - დიალოგს, ანუ ამყარებენ ერთმანეთში კომუნიკაციას.

შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობამ შეთანხმდა შემდეგზე: ჯგუფური მუშაობა ახალისებს, უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის სასწავლო პროცესს, ბავშვებს აქვთ უფრო მეტი კომუნიკაცია ერთმანეთთან და დაინტერესება შესასწავლი თემის მიმართ, რაც უმეტეს შემთხვევაში მასწავლებელს აღწევინებს დასახულ მიზანს.

7. შეფასების რა მეთოდს იყენებთ ჯგუფური მუშაობისას ?

შეხვედრის მონაწილენი ერთსულოვანი იყვნენ, რომ ჯგუფური მუშაობისას გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა აქვე აღინიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პრეზენტატორიც შეიძლება შეფასდეს განმსაზღვრელი შფასებით. ერთ-ერთი მონაწილის აზრით ეს არასწორი და მიუღებელია, რადგან გამოდის, რომ მას ვუფასებთ სხვისი ნააზრევის გადმოცემას. ამ საკითხმა გამოიწვია გარკვეული პოლემიკა, მას არ დაეთანხმნენ შეხვედრის მონაწილეები და დააკონკრეტეს, რომ პრეზენტატორი ფასდება მისთვის

მიწოდებული ინფორმაციის სწორად ორგანიზებაში, მის ნათლად გადმოცემასა და თავისი ხედვის ჩამოყალიბებაში, რაც ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია

8. რატომ ანიჭებთ უპირატესობას თქვენ მიერ გამოყენებულ შეფასების მეთოდს ?

ჯგუფის წევრებმა ასეთ შეფასებად მიიჩნიეს განმავითარებელი შეფასება და დაასკვნეს, რომ მისი უპირატესად გამოყენება განპირობებული იმით, რომ ჯგუფური მუშაობისას რთულია ობიექტური განმსაზღვრელი შეფასების გაკეთება

9. თქვენი აზრით რაში მდგომარეობს ჯგუფური მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები ?

ჯგუფური მუშაობის ძლიერი მხარეები:

● ამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს,

- დაფუძნებულია თანამშრომლობაზე,
- კომუნიკაციაზე,
- ბავშვები ფიქრობენ,
- მეტყველებენ,
- აზროვნებენ,
- დრო
- უვითარდებათ შემოქმედებითობა,

ჯგუფური მუშაობის სუსტი მხარეები:

● ზოგიერთ შემთხვევაში იკარგებიან ინდივიდები,

ამ ტიპის გაკვეთილის მომზადებას სჭირდება დიდი დრო,

საჭიროა ბევრი რესურსის შექმნა, მოძიება,

სისტემატიზაცია,

იწვევს ხმაურს

კლასის მართვის პრობლემები

5.2. ძირითადი მიგნებები

ჯგუფური მუშაობის ჩატარებისას პრობლემებს ქმნის:

- ✓ მასწავლებელთა დაბალი კომპეტენცია
- ✓ მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის დაბალი უნარები
- ✓ მოსწავლეთა შორის ქცევის წესების უგულებელყოფა
- ✓ ჯგუფური მუშაობის სტრატეგიების უგულებელყოფა
- ✓ შეფასების კრიტერიუმების სირთულე

5.3. ინტერვენციები

- ➢ კვირაში ერთჯერ ჯგუფური მუშაობის ჩატარება
- ➢ ჯგუფური მუშაობის სტრატეგიების ცვლა

- მკაცრად განსაზღვრული წესები
- შეფასების კრიტერიუმები

თავი VI. ინტერვენციების შეფასება

6.1. ინტერვენციების შეფასების მეთოდები

მეორადი მონაცემების შეგროვებისას გამოვიყენე იგივე მეთოდები, რითაც ჩავატარე კვლევა. მიმაჩნია, რომ მოსწავლეთა მოსაზრებები და მათი დამოკიდებულება გადამწყვეტია კვლევის შეფასებისათვის.

6.2. ინტერვენციების შეფასება

კვლევის მიმდინარეობისას საშუალო საფეხურის კლასში სისტემატიურად ვატარებდი გაკვეთილებს, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ამ პროცესში და ხალისით ასრულებდნენ დავალებას, რაც მთავარია დავალებას ძირითადად წარმატებით ართმევდნენ თავს, რაც ამ მეთოდის უთუოდ ძლიერ მხარედ შეიძლება მივიჩინოთ

ჯგუფური მუშაობისას ვიყენებდი სხვადასხვა სტრატეგიებს, რაც მართალია ამრავალფეროვნებდა გაკვეთილებს, უფრო საინტერესოს ხდიდა მათ მოსწავლეებისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი მოითხოვს მასწავლებლიდან ძალების და დროის მაქსიმალურ მობილიზებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მეტად რთული შესასრულებელი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ თავიდან საკმაოდ პრობლემატური იყო ჯგუფური მუშაობისათვის განსაზღვრული წესების დაცვა (დროის ლიმიტი, ხმაური, ჯგუფის წევრების ნაწილის ინერტულობა და არაორგანიზებულობა, ურთიერთ მოსმენის კულტურის დაბალი დონე), კვლევის მიმდინარეობის პროცესში თანდათან მოხერხდა წინასწარ შეთანხმებული წესების დაცვა, რამაც შესაძლებელი გახადა დროის რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება, შემცირდა ფუსფუსი, გარკვეულწილად დაიხვეწა ურთიერთ მოსმენისა და აზრის გაზიარების კულტურა.

კვლევის პროცესში, წარმოდგენილი ლიტერატურის, კოლეგებთან შეხვედრებზე გამოთქმული მოსაზრებებისა და საკუთარი პრაქტიკის გათვალისწინებით ჯგუფური მუშაობისას ძირითადად ვიყენებდი განმავითარებელ შეფასებას, რაც საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან რთული იყო ყველა ნიუანსის დანახვა, აღნუსხვა, მისი გაანალიზება და შემდეგ შეფასების მიცემა. ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწია გაკვეთილებზე გამოყენებულმა ჩანაწერებმა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამან მთლიანად მომიხსნა პრობლემა. რიგ შემთხვევაში გაკვეთილის სპეციფიკიდან გამომდინარე დროულად ვერ ხერხდებოდა ჩანაწერების გაკეთება. ამიტომ შეფასება რიგ შემთხვევაში მოკლებული იყო კონკრეტიკას და უფრო ზოგად ხასიათს ატარებდა. ეს კომპონენტი ჩემი მხრიდან უფრო მეტ დახვეწას მოითხოვს.

ჩემ მიერ გაკვეთილებზე ჯგუფური მუშაობის ხშირმა გამოყენებამ დამანახა, რომ მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარები გაუზარდა. ასევე მათ მიეცათ საშუალება თავიანთი აზრი დაეცვათ არგუმენტირებულად, რათა მათი აზრი გამხდარიყო ჯგუფის მოსაზრებაც. მნიშვნელოვანი იყო დეტალების

დანახვის უნარიც. ასევე დავალებების დაყოფისა და მისი ნაწილების შესრულებისას დიფერენცირების უნარი. შევამჩნიე, რომ მაშინაც კი, თუ ინსტრუქციები არ ითვალისწინებდა დავალების დაყოფას, ჯგუფები ცდილობდნენ ნაწილ-ნაწილ შეესრულებინათ დავალება და საერთო დასკვნა მხოლოდ ერთმანეთის აზრების გაზიარების შემდეგ გამოეტანათ. ნათლად დავინახე მეთოდის ეფექტურობა დროის რაციონალურად ხარჯვისა და ცოდნის ორგანიზების კუთხით.

ყველაზე დიდ მიღწევად ჩემი მოსწავლეების შეფასებები მიმაჩნია. მეორადი მონაცემების ანალიზისას გამოჩნდა, რომ მოსწავლეებს აშკარად გაეზარდათ დაინტერესება საგნის მიმართ, გაიზარდა დამახსოვრების ეფექტი, კლასი შეიკრა და ერთ გუნდად იქცა, თანამშრომლობითი უნარების განვითარებამ სხვა საგნების სწავლებაზეც იმოქმედა დადებითად და მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ დავალებებს.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ჯგუფური მუშაობის ძალიან ბევრი დადებითი მხარისა, მასწავლებელს თვითმიზნად არ უნდა ექცეს მისი ჩატარება. აუცილებელია გავითვალისწინოთ შესასწავლი საკითხის მოცულობა, ხასიათი, სირთულე და სხვა მახასიათებლები, ასევე ჯგუფის მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები, რათა ამ მეთოდმა მოგვცეს მაქსიმალური შედეგი.

საერთო ჯამში, მიმაჩნია, რომ კვლევამ ძირითადად მიაღწია მიზანს, რადგან მისი განხორციელების შედეგად ნამდვილად ამაღლდა ჩემი პროფესიული დონე, დავხვეწე ჯგუფური მუშაობის სტრატეგიები, დახელოვნდნენ მოსწავლეებიც, ისინი გახდნენ გაკვეთილის წარმმართველები, ჩემთან ერთად ისინი ახდენდნენ ცოდნის კონსტრუირებას, რის გამოც თამამად ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში,

თავი VII. რეკომენდაციები და ნაკლოვანებები

7.1. რეკომენდაციები

საგაკვეთილო პროცესში მაღალ შედეგზე გასვლისათვის აუცილებელია ჯგუფური მუშობის სისტემატური ჩატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ერთჯერადად ჩატარებას აზრი ეკარგება, რადგან მოსწავლეებს ვერ გამოუმუშავდებათ ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც შეუძლია სასწავლო პროცესი გახადოს საინტერესო, რამაც საბოლოოდ ხელი უნდა შეუწყოს მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევას. ამასთანავე მასწავლებელმა მუდმივად უნდა ცვალოს გაკვეთილის ჩატარების სტრატეგიები, რათა მოსწავლეებისათვის ასეთი ტიპის გაკვეთილები არ გახდეს მოსაწყენი და არ დაეკარგოთ მოტივაცია. გაკვეთილზე აუცილებლად უხვად უნდა იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის ვიზუალური თვალსაჩინოება, პარალელურად მასწავლებელმა ხშირად უნდა მიმართოს სწავლას კეთებით, რაც განუვითარებთ ბავშვებს ცოდნის კონსტრუირების უნარს. ამ ხერხით მიღებული ცოდნა უფრო მყარი იქნება და მოსწავლეები მის გამოყენებას შემდგომ შეძლებენ პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც არის საბოლოოდ ზოგადად სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

საბოლოოდ კვლევის მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე რეკომენდაცია ასე ჩამოყალიბდეს:

იმისათვის, რომ ჯგუფური მუშაობა გახდეს ეფექტური:

- ხშირად უნდა ჩატარდეს
- გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები
- არ უნდა ვაქციოთ თვითმიზნად და მეთოდი შევარჩიოთ თემის მიხედვით
- ხშირად ვცვალოთ სტრატეგიები ეფექტის გასაზრდელად
- ჩვევაში გადავიყვანოთ ერთობლივად შემუშავებული ქცევის წესების დაცვა
- თავდაპირველად ჯგუფის მონაწილეებს თავად შევურჩიოთ დავალებები და მხოლოდ შემდეგ ეტაპზე მივცეთ არჩევანის თავისუფლება
- მასწავლებელმა აწარმოოს დაკვირვების დღიური მოსწავლეთა ქცევის/სწავლის ორგანიზების დინამიკა

7.2. კვლევის ნაკლოვანებები

აღნიშნული კვლევის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი ჩატარდა შედარებით შეზღუდულ ვადებში და, ჩემი აზრით, სრულად ვერ წარმოჩინდა ჯგუფური მუშაობის ყველა ძლიერი მხარე, ამასთანავე ბოლომდე ვერ შევძელი სრულფასოვნად განმეხორციელებინა ჯგუფების მუშაობის მონიტორინგი, შესაბამისად კვლავ დასახვეწია განმავითარებელი შეფასების სისტემა და მისი განხორციელება. ასევე უფრო მეტი კომუნიკაცია მმართებს კოლეგებთან აღნიშნული აქტივობის უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის.

თავი VIII. დასკვნა

კვლევის განხორციელების პროცესში მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ კვლევის საწყის ეტაპზე მათთვის გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენდა ჯგუფური მუშაობის წესების ზუსტად და ზედმიწევნით სწორად დაცვა-შესრულება, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება მსგავსი გაკვეთილების ჩატარებისა (და არა მხოლოდ ჩემ საგანში), მაინც მათ კარგად არ ჰქონდათ გაცნობიერებული რა უნდა გაეკეთებინათ და როგორ უნდა გაეკეთებინათ, უჭირდათ ერთმანეთის აზრის მოსმენა და აღქმა, საკუთარის მკაფიოდ ჩამოყალიბება, ჯგუფის საბოლოო პროდუქტის ჩამოყალიბება. ამიტომაც იყო, რომ პირველი გაკვეთილების ეფექტი არც ისე სახარბიელო იყო.

ხაზგასასმელია, რომ მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეცეს მათი ასაკის ადეკვატური, მაქსიმალურად კონკრეტული დავალება, დავეხმაროთ მათ აზრის, პოზიციის, დასკვნის, (განსაკუთრებით წერილობითის) მკაფიოდ ჩამოყალიბებაში, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

გაკვეთილების მსვლელობამ და კვლევის დასკვნით ეტაპზე მოსწავლეთა გამოკითხვამ გვაჩვენა, რომ ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ და მოტივაციას უმაღლებს სხვადასხვა ტიპის საგაკვეთილო, პირველ რიგში ვიზუალური (კინო-ფონო-ფოტო)რესურსების გამოყენება, რაც უფრო ცხადად წარმოაჩენს შესასწავლი თემის აქტუალობას (შესასწავლი ეპოქის შეგრძნება და განცდა, ისტორიული პირების,

მოვლენების ნათლად დანახვა). ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში დისკუსიისა და მსჯელობის უნარის განვითარებაში

თავი IX. რეფლექსია

2018 წელს, 12 ივნისს, გაიმართა სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის პედაგოგთა შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო ჩემ კოლეგებთან, გეოგრაფიის მასწავლებელ მეგი ბოგვერაძესთან და სამოქალაქო საზოგადოების მასწავლებელ მირანდა ლაზარიაშვილთან ერთად ჩატარებული საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის გაზიარება. კვლევის თემა გახლდათ ,,ჯგუფური მუშაობის დროს მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი გადაჭრის გზები''.

აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ ჩვენი სკოლის სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. შეხვედრის მსვლელობისას დამსწრე საზოგადოებას PowerPoint-ის საპრეზენტაციო ფორმატში. წარვუდგინეთ კვლევის მიზანი, მიგნებები, ძირითადი კითხვები, მეთოდები, ინტერვენციები, ინტერვენციების შეფასება, დასკვნა და გამოკითხვის შედეგები. კვლევის წარდგენის შემდეგ მსმენელებმა დასვეს კითხვები, გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები და დააზუსტეს მათთვის საინტერესო საკითხები. ერთმა ნაწილმა შემოგვთავაზა თავიანთი მოსაზრება იმ აქტივობებზე, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა წარმოდგენილი სურათის კიდევ უფრო სრულყოფისათვის. კვლევა საინტერესო გამოდგა მასწავლებლებისათვის, რადგან განხილული თემა აქტუალური და მნიშვნელოვანია სწავლების ყველა საფეხურზე ყველა საგანში.

საბოლოოდ უკუკავშირმა რამდენიმე საინტერესო მიგნება წარმოაჩინა: ქალბატონმა აზა მარუაშვილმა გამოთქვა სურვილი კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილების კვალობაზე დასწრებოდა ჩვენ მიერ ჩატარებულ გაკვეთილს.

მნიშვნელოვანი იყო შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის, სკოლის დირექტორის ნონა ჩუბინიძის გამოთქმული მოსაზრებები, კერძოდ მან აღნიშნა, რომ ჯგუფური მუშაობა მოსწავლეებს ამზადებს პრაქტიკული ცხოვრებისათვის, სადაც ადამიანებს უწევთ პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტა. მისი რეკომენდაცია იყო, რომ კვლევა არ დარჩეს კვლევად, მასწავლებლებმა უნდა მიაღწიონ ჯგუფური მუშაობის სისტემატიურ გამოყენებას. მისი აზრით ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მთავარი შედეგთაგანი იქნება ის, რომ შემცირდება ბულინგის ყველა სახის გამოვლინება მოსწავლეებს შორის.

ქალბატონმა სოფიკო ცნობილაძემ აღნიშნა პრობლემის აქტუალობა და გამოთქვა სურვილი კვლევის მიგნებებისა და შედეგების გათვალისწინებით დაგეგმოს და ჩაატაროს გაკვეთილი.

ქალბატონი ნინო ჭოლოკავას აზრით, საჭიროა მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურება, რათა მრავლად დაიგეგმოს გაკვეთილები, რომელთა მიზანი მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობაში ჩართვაა.

კვლევის ჯგუფის წევრებისათვის საინტერესო იყო კოლეგების წინადადებები, რომლებსაც აუცილებლად გავითვალისწინებთ ჩვენს პედაგოგიურ მუშაობაში.

ბიბლიოგრაფია

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

orioniblog.blogspot.com/2011/06/blog-post_3974.html

სტატია ,,ჯგუფური მუშაობა'', ავტორი ლელა ტეფნაძე, გამოქვეყნებულია ბლოგზე ,,ორიონი''

https://dgsalt.blogspot.com/2017/02/princip.html

სტატია ,, ჯგუფური მუშაობის პრინციპები'' ავტორები მარეხი ჯელაძემ და შორენა მიქაბერიძე

http://mastsavlebeli.ge/?p=1791

http://mastsavlebeli.ge/?p=1721

სტატია ,,ჯგუფური მუშაობის როლი სასწავლო ქმედებების ფორმირებაში''

(2015 წლის 3 აპრილი) ავტორი მაია ფირჩხაძე, გამოქვეყნებულია ინტერნეტგაზეთ

,,მასწავლებელში''

https://edu.aris.ge/news/ratom-aris-mniSvnelovani-gunduri-muSaoba-moswavleTa-ganviTarebisaTvis.html

https://eliademy.com/catalog/--3218.html

დავით ბოლქვაძის სტატია

დანართი 1

ფოკუს ჯგუფის კითხვები

1. რა სიხშირით ატარებთ ჯგუფურ მუშაობას ?

2. რა მიზნის მისაღწევად იყენებთ ჯგუფურ მუშაობას ?

3. როგორია თქვენი მონიტორინგის მექანიზმი მოსწავლეების ჩართულობის შესამოწმებლად ? რამდენად ეფექტიანია თქვენ მიერ გამოყენებული აღნიშნული მექანიზმი ?

4. როგორ ხდება ამ სირთულეების დაძლევა ?

5. რა სირთულეებს აწყდებით ჯგუფური მუშაობის ორგანიზებისა და ჩატარებისას ?

6. ყოველთვის ვაღწევ თუ არა მიზანს ?

7. შეფასების რა მეთოდს იყენებთ ჯგუფური მუშაობისას ?

8. რატომ ანიჭებთ უპირატესობას თქვენ მიერ გამოყენებულ შეფასების მეთოდს ?

9. თქვენი აზრით რაში მდგომარეობს ჯგუფური მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები ?

დანართი 2

ინტერნეტ გამოკითხვა

1. რა პრობლემებს აწყდებით ჯგუფური მუშაობისას ?

2. როგორ მართავთ ჯგუფური მუშაობის პროცესს ?

3. როგორ აღწევთ, რომ ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად იყოს ჩართული ჯგუფის მუშაობაში, მოიყვანეთ თუნდაც ერთი მაგალითი

4. გაგვიზიარეთ ჯგუფური მუშაობის რამდენიმე სტრატეგია

დანართი 3

მოსწავლის კითხვარი

1. რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ ჯგუფურ მუშობაში ?

2. თქვენი აზრით, თქვენში რა უნარის განვითრებას უწყობს ხელს ჯგუფური მუშაობა ?

3. ჯგუფური მუშაობის მიმდინარეობისას ყოველთვის ხართ თუ არა ჩართული ჯგუფის მუშაობაში? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ მიზეზი

4. ჯგუფური მუშობისას შეფასების რომელ ტიპს იყენებენ მასწავლებლები ? (კომენტარით, თუ ქულით ?)

5. რამდენად მისაღები და გასაგებია თქვენთვის განმავითრებელი (კომენტარებით) შეფასება ?

6. რამდენად ითვალისწინებთ მასწავლებლის მიერ მოცემულ განმავითრებელ შეფასებას ? (მოიყვანეთ მაგალითები)

7. რა სიხშირით გსურთ ჯგუფური მუშაობის ჩატარება ?

8. თვლით თუ არა, რომ ჯგუფური მუშობა ზოგიერთი მოსწავლის შესაძლებლობებს წარმოაჩენს მეტად, ზოგიერთის კი პირიქით -- თრგუნავს. თქვენი დადებითი პასუხის შემთხვევაში რა არის ამის მიზეზი ?